



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №18(200) 2019 წ. 16-30 სექტემბერი ფასი 1 ლარი

16 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი დაიწყო!



16 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლის დაწყება იხეიმეს. დონისძიებას რამდენიმე სკოლაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ და ეს მნიშვნელოვანი თარიღი მოსწავლეებს პირადად მიულოცეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები – **ალექსი ბილაშვილი და შოთა კაკაბაძე**, საკრებულოს თავჯდომარე **ოთარ ჩალათაშვილი** და მის მოადგილე **ლელა მარიტაშვილი** და საგარეჯოს რესურს ცენტრის ხელმძღვანელ **მანანა ცუცქერიძე-მსათან** ერთად საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლას ესტუმრნენ, პირველკლასელებს თავად შეაბნიეს სკოლის სიმბოლიკით გაფორმებული გულსაბნეები, გზა დაულოცეს და წარმატებული სასწავლო წელი უსურვეს.

საზეიმო განწყობით დახვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს საგარეჯოს მე-3, სოფელ ნინოწმინდისა და დიდი ჩაილურის საჯარო სკოლებში. სკოლის ყველა ხელმძღვანელმა უდიდესი მადლიერება გამოთქვა სტუმრების მიმართ და ერთხმად აღინიშნა, რომ: ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კეთილმოწყობილი გარემო და ინფრასტრუქტურა, რომ, მოსწავლეები ამიერიდან რეაბილიტირებული სველი წერტილებითა და საპირფარეშოებით ისარგებლებენ. სპეციალური საჭიროების მქონე პირებს კი ადაპტირებული და შეაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი საპირფარეშოები და სველი წერტილები მოემსახურებათ.



ვილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს* **ოთარ ჩალათაშვილს**.

ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს, წარმატებებს პირად და სამსახურებრივ საქმიანობაში!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



27 სექტემბერი სოსუმის გმირების ბახსენების დღეა!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა და საკრებულოს თავჯდომარე **ოთარ ჩალათაშვილმა** თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან ერთად გმირთა მემორიალი თაიგულებით შეამკო და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას.



მუნიციპალური ბიურო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირები

17 სექტემბერი, 2019 წელი

17 სექტემბრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ტრადიციულ თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ალექსო ბილაშვილი და შოთა კაკაბაძე უძღვებოდნენ. თათბირზე აღექსი გილაშვილმა მუნიციპალიტეტის სოფლებში მერის წარმომადგენლებისაგან დაწერილებით გამოიკითხა და ჩაინიშნა მათ სამოქმედო პუნქტებში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საქმეში არსებული მდგომარეობა და პრობლემები. კერძოდ, რამდენი ოჯახი სარგებლობს მუდმივი წყლით, რამდენი ოჯახი მარაგდება გრაფიკით, რამდენია ისეთი ოჯახი, რომლებიც საერთოდ ვერ მარაგდებიან სასმელი წყლით.

თათბირზე ს. მხისგულის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიხედვით ობოლაშვილის განცხადებით, სოფლის მოსახლეობა ძალზედ განიცდის სასმელი წყლის ნაკლებობას. მათ დღე-ღამეში საერთოდ 40 ტონა წყალი მიეწოდებათ და ისიც ორ დღეში ერთხელ.

თათბირზე სოფლების წარმომადგენლებმა ასევე ესაუბრეს მოახლოებულ რთველთან დაკავშირებულ საკითხებზე და მათი მოგვარების გზებზე.

სოფელში სამი უბანია, სადაც მოსახლეობას საერთოდ არ მიეწოდება სასმელი წყალი, სოფლის ორ მესამედს საერთოდ არ აქვს სასმელი წყალი.

მერის წარმომადგენლის სოფელ ვერხვიანში ნოდარ ბეგიაშვილის ინფორმაციით, დაახლოებით სამი ათეული წლის წინ იერის ხეობიდან წყალი აჰყავდათ ე.წ. „თელეთის გორაზე“, საიდანაც შემდეგ ყანდაურის, ბაღიაურის, კაკაბეთის, ვერხვიანის მოსახლეობა თვითღინებით იღებდა სასმელ წყალს.

თათბირზე მერის წარმომადგენელმა სოფელ ბაღიაურში კახაბერ ჩალათაშვილმა წინადადება დააყენა – ზემოთ აღნიშნული სასმელი წყლის მაგისტრალის ადგილზე ასეულობით ოჯახს მოუსხნის სასმელი წყლის პრობლემას. მისი აზრით, იერის წყალი ბუნებრივად წყლია, მას მხოლოდ გაფილტვრა სჭირდება, რაც სამუდამოდ გადაჭრის რამდენიმე სოფლის წყლით მომარაგების პრობლემას.



24 სექტემბერი, 2019 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ალექსო ბილაშვილი და შოთა კაკაბაძე უძღვებოდნენ. თათბირზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში რთვლის მიმდინარეობის საკითხზე. მევენახეთა წინაშე არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს მერის წარმომადგენლებმა პატარა ჩაილურში, ყანდაურასა და მხისგულში. როგორც გაირკვა, ჩვენი მუნიციპალიტეტის არც ერთ სოფელში მერის წარმომადგენლებს ჯერჯერობით არ მიუღიათ რთვლის შესახებ გასაცემი ცნობების ფურცლები, რიც გამოც მევენახეებს ექმნებათ პრობლემები – ყურძენმა კარგა ხანია მიაღწია კონდიციას, გაისხნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყურძენისა და ღვინის გადამამუშავებელი ქარხნებიც, მაგრამ ცნობის უქონლობის გამო მევენახეებს ყურძენი ქარხანაში ვერ მიაქვთ, სამაგიეროდ, აღნიშნულ ქარხნებში ყურძენს აბარებენ მეზობელი მუნიციპალიტეტების მევენახეები, რაც ქმნის შემდგომ პრობლემას – შეიძლება ქარხნებმა მიიღონ მათთვის საჭირო რაოდენობის ყურძენი და შეწყვიტონ მიღება...

თათბირზე ითქვა ისიც, რომ მეზობელ მუნიციპალიტეტებში – სიდნაღსა და დედოფლისწყაროში 5 სექტემბრიდან დაიწყო რთველი, ჩვენთან კი ცნობისთვის საჭირო ფურცლების არქონის გამო, რთველი ვერ იწყება.

თათბირზე მერის მოადგილე ლექსო გილაშვილი ტელეფონით ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს კახეთის მხარეში ირაკლი ქადაგიშვილს და გაარკვია, რომ აღნიშნულ ფურცლებს იმავე დღესვე მიაწვდიდა მერის წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.

მუნიციპალიტეტში რთვლის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა.

თათბირზე ლექსო გილაშვილმა მერის თითოეულ წარმომადგენელს თხოვნით მიმართა – მეტი ყურადღება და პასუხისმგებლობა გამოიჩინონ სოფლებში პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“, რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების განხორციელების მიმდინარეობას, ყოველდღიურად შეამოწმონ შესრულებული სამუშაოების ხარისხი და დარღვევის შემთხვევაში აცნობონ მერიის შესაბამის სამსახურებს.

როგორც გაირკვა, მთელ რიგ სოფლებში სამშენებლო ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ სამუშაოები. ასე, მაგალითად, უჯარმაში, დიდ და პატარა ჩაილურში სანიაღვრე არხების მშენებლობა არ დაწყებულა, ასევე, სოფელ მხისგულში არც ერთი პროექტი არ დაწყებულა, ასევე, ასკილაურში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა არ დაწყებულა. სასმელი წყლით მომარაგებაში პრობლემებია თითქმის ყველა სოფელში. მერის წარმომადგენლის სოფელ პატარა ჩაილურში არჩილ ყაყრიშვილის ინფორმაციით,



„ინფრასტრუქტურა-2019“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჩაილურში მიმდინარეობს დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის ამოცვლის სამუშაოები.

სათავე ნაგებობიდან მიმავალი სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე პოლიეთილენის მილის მოწყობის სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება 134 789 ლარს შეადგენს.



„ინფრასტრუქტურა-2019“

წესრიგდება

საკანალიზაციო სისტემა

საბარჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დაიწყო!

მიმდინარეობს საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები, რომელიც საქართველოში განსახორციელებელი რეგიონული პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.



სარწყავი სისტემა

საბარჯოს მუნიციპალიტეტში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის წყალგამანაწილებლის 700 მეტრიანი მონაკვეთის ადგილობრივი სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები ქსელში წყლის დანაკარგის შემცირებას უზრუნველყოფს. შედეგად: სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება სოფლების ბაღიანურისა და მხისგულის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებზე, გამარტივდება წყლის რეგულირების პროცესი.



სანიღვრე არხი

საბარჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჩაილურში სანიღვრე არხის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.



„მასწავლებლო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი!..“

ქვეყნის მომავლის უღალატო მშენებელი



კვიდრებას ცდილობდა, მაგრამ არავინ მონიტორინგს არ უწევდა რეფორმის მიმდინარეობას, მეტე აღმოჩნდებოდა, რომ რაღაც ვერ გათვალეს კარგად, მასწავლებლებმა ვერ აუღეს ალლო და ა.შ. შედეგად არ დაყოვნა და განაწესდა სკოლა-კური დამოკიდებულება პედაგოგის პროფესიის მიმართ, რამაც ძალზე დააზარალა სკოლა. საუკეთესო მასწავლებლებიდან უკანასკნელი ორი ათეული წელია და ალბათ მეტიც, სკოლას პედაგოგად არავინ დაბრუნებია. ისეთები კი, ვისაც მართლაც მთელი გულით უყვართ თავისი საქმე, ძალზე ცოტანი დარჩნენ სკოლაში.

ამ ქვეყნად, თუკი ვინმეს შეიძლება ეწოდოს ეს სახელი, პირველ რიგში ამას მასწავლებლები იმსახურებენ. მხედველობაში გვყავს მასწავლებლები საქმით და მოწოდებით და არა შემთხვევითი, გასამრჯელოს, სახელისათვის სკოლის კედლებში შესული პიროვნებები. ღვთისა და ქართულ სულში ნაქსოვილი გენების წყალობით, საგარეჯოში არ გვაკლია პროფესიონალი, ქვეყნის მომავლის, თაობების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში თავიანთი ღვაწლის შეგნებით გამსჭვალული პედაგოგები, თავიანთი ყოველდღიური შრომითა და რუდუნებით რომ ემსახურებიან ამ დიდმნიშვნელოვან სამსახურს და მამულიშვილურ საქმეს. ამ დიდ და ღვაწლმოსილ პიროვნებათაგანია **საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი**, თავისი საქმიანობითა და ღვაწლით ყველასათვის ნაცნობი და დაფასებული პიროვნება **ქ. ნელი ქაიხოსროვილი**, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია და გვიზიარებს თავის იმ მოსახრებებს, რაც მას დაუგროვდა მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში.

– მასწავლებლისა და მისი პროფესიისადმი სახელმწიფოს ამგვარი დამოკიდებულება ადრეიდანვე იყო ცნობილი. ასე იყო თქვენს მიერ სკოლის დამთავრების დროისთვისაც, მაგრამ თქვენ, სკოლის წარჩინებულმა კურსდამთავრებულმა, რატომღაც მაინცდამაინც პედაგოგის პროფესია აირჩიეთ...

– ვერ გეტყვით, რომ ბავშვობიდანვე ვიცნობდით პედაგოგობაზე, მაგრამ ისე წარმოიქმნა ჩემი ცხოვრება, რომ შევედი სკოლაში, „მისი მტვერი შევისუნთქე“ და მეტე ვეღარ დავანებე თავი. გავიზარდე ძალიან მშრომელ და პატიოსან ოჯახში. მამა სამხედრო საქმის მასწავლებელი იყო სკოლაში, ის საკმაოდ მომთხოვნი ადამიანი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს იმაში, რომ მე და ჩემი და გავეზარდეთ იმ ღირებულებებზე, რაც მომავალში სწორ ნაბიჯებს გადაგვადგვიყვებდა ცხოვრებაში. დედა – ძალიან განათლებული, კეთილშობილი და მოსიყვარულე პიროვნება იყო. მათთან ერთად ჩემს აღზრდა-ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს სკოლის პედაგოგებმა, რომლებსთვისაც სწავლა არ ნიშნავდა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ ასევე ზრუნავდნენ მასწავლებლებში უნარ-ჩვევების განვითარებასა და ჩამოყალიბებისათვის. მათ გაკვეთილებზე ყოველთვის ისმოდა კითხვები: რატომ? როგორ? საიდან? გამომდინარე? შენ როგორ ფიქრობ? და ა.შ.

– თქვენ საშუალო განათლება ოქროს მედალზე გაქვთ მიღებული, სად მიიღეთ უმაღლესი განათლება?

– დავამთავრე საგარეჯოს I საშუალო სკოლა ოქროს მედალზე და იმავე წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე დავამთავრე წარჩინებით. იმავე წელს ორ ფრიადოსან კურსდამთავრებულს გვაგზავნიდნენ თურქეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ პირადი პრობლემების გამო, იმულებული ვიყავი ჩამოვსულიყავი ჩემს რაიონში და დავიწვე მუშაობა საზოგადოება „ცოდნის“ პასუხისმგებელ მდივანად. ეს სამუშაო ძალზე უინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის და გამოჩნდა თუ არა შესაძლებელი საშუალო სკოლაში პედაგოგის ადგილი, არც დაფიქრებულვარ, ისე შევედექი პედაგოგის ურთულეს საქმეს.

– ამ სკოლაში თქვენი პირველი გაკვეთილი თუ გახსოვთ?

– ამას რა დამავიწყებს. მახსოვს XI კლასში უნდა ამეხსნა გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბუთანიის ეკლესიაში“. მასწავლებლებმა წინასწარ გამაფრთხილეს, რომ კლასში არის ერთი ბავშვი, რომელსაც ისტორიის გარდა სხვა საგნები არ აინტერესებს და ფრთხილად იყავით. ამოვიკითხე სია, გავაცანი გაკვეთილის თემა და სწორედ იმ ბიჭს ვთხოვე მოეყოლა, რა იცოდა თამარ მეფეზე, თან დავამატე, შეიძლება ჩემი ცოდნა თამარ მეფეზე შენ შეავსო – მეტე. გაკვირვებით შემოხედა და დაიწყო მოყოლა. ამის შემდეგ

ქართულის გაკვეთილები ისეთივე საინტერესო გახდა მისთვის, როგორც ისტორია. ჩემი ამ და სხვა დაკვირვებებიდან გამომდინარე, მე მიმანია, რომ ღრმა ცოდნასთან ერთად, მასწავლებლისთვის ასევე საჭიროა მოსწავლის მიმართ სითბოს გამოხატვა, მაგრამ არც ზედმეტი მოფერება საჭირო. აკაკი წერეთლის დღისა არ იყოს, ასეთი რამ არ არის აუცილებელი. მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ შენ ის ვიყვარს და არასოდეს მოიქცევა ცუდად, არ დაგორღვევს დისციპლინას. ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ ამის გამო გაკვეთილი ჩამშლოდეს. მომხდარა ისე, რამოდენიმეჯერ ბოდიშიც მომიხდია ბავშვებისათვის და ვფიქრობ, ეს სულაც არ არის დამამცირებელი მასწავლებლისათვის, რადგან ისიც ადამიანია და არ არის შეუმცდარი.

– ცხოვრების ახლიდან დაწყების შანსი რომ მოგეცეთ, თუ შეიცვლიდით პროფესიას?

– ხშირად მეკითხებიან ამას, თავიდან რომ დაგეწოთ, რას შეცვლიდით თქვენს



ცხოვრებაში. რაოდენ ბანალურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გიპასუხებდით – ალბათ არაფერს-მეტე. მე მგონია, არც ერთ პროფესიაში არ არის სიამოვნების მიღების იმდენი საშუალება, რამდენიც მასწავლებლობაში. ჩემს თვალწინ არაერთი თაობა აღიზარდა. იყვნენ განსაკუთრებულად გონიერი, ზარმაცები, შრომისმოყვარენი. ჩემი დამოკიდებულება ყველას მიმართ ერთნაირი იყო. ჩემთვის მთავარი იყო მათი კარგად აღმამინებლად აღზრდა და არა მარტო ცოდნის გადაცემა. მათ უნდა იცოდნენ, როგორ გაუმკლავდნენ პრობლემებს, რომ არ უნდა შეუშინდნენ ცხოვრების მთავარ გამოწვევას, საამისოდ ვიყენებ თითოეულ გაკვეთილს, კლასგარეშე ლიტერატურას, ერთად ვმსჯელობთ ნაწარმოებებზე, მათ პერსონალებზე, რაშიც სკოლაში კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკა გვეხმარება.

დღეს, ადრინდელისაგან განსხვავებით, ასევე საშუალება გვაქვს რელიგიაც გამოვიყენოთ მათი სულის გასაკეთილშობილებლად. დღეს განსაკუთრებით ბევრია საცდუნებელი და ვფიქრობ, ლიტერატურას ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღება უნდა დაეთმოს. მრავალწლიანმა გამოცდილებამ დამარწმუნა იმაში, რომ თუ რწმნა მყარ ნიადაგზე არაა დაფუძნებული, განათლება ადვილად იტყვევება ცდუნებად, რაც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ქვეყნის მომავლისათვის.

– საგარეჯოს I საშუალო სკოლა თქვენი ხელმძღვანელობის დროს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფლაგმანად ითვლებოდა, რამდენი ხანი დაჰყავით ამ პოსტზე?

– 23 წელი ვხელმძღვანელობდი ამ სკოლას და როგორც დირექტორს და როგორც მასწავლებელს, არასოდეს მიღალატია ჩემი უმთავრესი მოწოდებისა და მრწამისისათვის – ქვეყნისათვის ღირსეული მომავალი თაობების აღზრდის საქმისათვის.

– თქვენი მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობა არაერთი დიდი ჯილდოთი აღნიშნულა და თქვენს კაბინეტშიც, რო-

განათლება

მელიც მართლაცდა საუცხოოდაა გაფორმებული, თქვენს არაერთ სერტიფიკატსა თუ სიგელს ვხედავ. თქვენთვის, როგორც პედაგოგისთვის, რომელია მთავან ყველაზე ღირებული?

– ცხოვრებაში არაერთი ჯილდო მაქვს მიღებული: „განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი, საპატიო ნიშნის ორდენი, ღირსების ორდენი. მიმდინარე წელს მივიღე წამყვანი მასწავლებლის სტატუსი და ყველაზე დიდი ჯილდო „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება. არაერთმა მომილოცა ეს მართლაც საპატიო წოდება, მაგრამ ყველაზე ღირებულ ჩემი ნამოწაფარებისა და მოსწავლეების სამადლობელი სიტყვებია.

– თქვენი აზრით, რა განსხვავებაა დღევანდელი და ე.წ. კომუნისტური რეჟიმის სკოლებს შორის?

– ახლა, ამ გადასახედიდან, როცა ვადარებ ადრინდელ სკოლას თანამედროვეს, ბევრ განსხვავებას ვხედავ. ჩემი დროის სკოლაში უფრო ბევრი შრომა გვჭირდებოდა მიზნის მისაღწევად. თუ ყველა საგანს არ ისწავლიდი, მედალს არავინ მოგცემდა. ამიტომ მაშინდელ ბავშვებს უმაღლესში ჩასაბარებლად რეკვირებოდათ მომზადება არ სჭირდებოდათ. სკოლა და მშობელი ერთად ზრუნავდნენ ბავშვის ცოდნის ასამაღლებლად. დღეს მშობლის სურვილია მაღალი ნიშნები კომპიუტერის მისაღებად, შემდგომ კი – მედიცინა. ძალიან ხშირად გაიკონტო, რომ დღეს სკოლა ვერ აძლევს სათანადო ცოდნას, ზოგიერთი ირონიით „კარცერ-ლუქსში“ ხედავს გამოსავალს. სანამ ეს სტიგმა არ დაიმსხვრევა, განათლება წინ ვერ წავა. დღეს ზოგიერთებს ყველაზე დიდ მინაპოვად მიანიათ ეროვნული გამოცდები, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ აქაც არის ხარვეზები. არ შეიძლება გადასალახი ბარიერი ასეთი დაბალი იყოს. მე ვიცი, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში (დღეს ხომ ყველა უმაღლეს სასწავლებელს უნივერსიტეტი ჰქვია) ჩაირიცხნენ ისეთები, რომლებსაც ძალზე მწირი ცოდნა აქვთ, რაც ტრაგიკულია მიმანია. მასწავლებელთა

გამოცდებმა კი, კიდევ ერთხელ დაგვანახა მათი გარკვეული ნაწილის პროფესიული მომზადების დაბალი დონე. მე ვფიქრობ, სკოლაში შემთხვევითი ხალხი არ უნდა შემოდიოდნენ. თუცა ეს გამოიწვია იმანაც, რომ ფაქტობრივად აღარ არსებობს პედაგოგების მოსამზადებელი ფაკულტეტები, სადაც წლიობით ამზადდებოდა ახალგაზრდებს ამ საპატიო მისიისათვის. არ იყო კარგად შედგენილი სახელმძღვანელოები და კიდევ სხვა უამრავი მუდმივი და თითქმის მხელად გამოსასწორებელი პრობლემები იდგა სკოლის წინაშე, რაც ამ ახალი რეფორმებით ნელ-ნელა სწორდება.

– ახალი რეფორმები ახსენეთ და როგორ შეაფასებდით საქართველოს განათლების ამჟამინდელი მინისტრის მიერ მასწავლებელთა შრომის დაფასებისა და ამით ქვეყნის ღირსეული მომავალი თაობების აღზრდისადმი წამოწყებულ ცვლილებებს?

– ეს ნამდვილად ახალი და დადებითი ტენდენციაა საქართველოს მასწავლებლების მიმართ. მასწავლებელთა ხელფასების ზრდა, რა თქმა უნდა, გარკვეული სტიმულია პედაგოგისათვის და კიდევ უფრო გაზრდილი პასუხისმგებლობის წინაშეც აყენებს მათ, კიდევ უფრო აახლოვებს უმთავრეს მიზანთან, რასაც მომავალი თაობების სწორად აღზრდა ჰქვია.

მისასაღმებელია პრაქტიკოსი პენსიონერი პედაგოგისათვის სახელფასო ჯილდოს შეთავაზება. დაახლოებით ქვეყანაში 6 ათასმა პედაგოგმა დატოვა სკოლა, თუცა, საკითხავია – ვინ და რა მომზადების ხალხი შემოვა სკოლაში? ვერაფრთარი ტრენინგი და სხვა ღონისძიებები ვერ უშველის პიროვნებას, თუ მას საქმის ღრმა ცოდნა და სიყვარული არ აქვს. და ბოლოს ყველას უნდა გვახსოვდეს ერთი ჭეშმარიტება „თითოეული ადამიანი უნდა იყოს მიზანი და არა საშუალება“ და ჩვენი ცხოვრება, სხვა არაფერია, თუ არა ამის არდავიწყება.

ესაუბრა
ნიკი დაბასიშვილი



საბარეჯოს მუნიციპალიტეტი დასუფთავების მსოფლიო დღეს შეუერთდა!

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერბოჭონაშვილის ინიციატივითა და მისი მოადგილე-ალექსი გილაშვილის ორგანიზებით, ჯაფარიძის ქუჩაზე, კახეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიასა და სოფელ გიორგიწმინდაში დასუფთავების აქცია გაიმართა.

ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია – „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World), 2010 წლიდან, შედეგების მთავრობის დაფინანსებით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს აქცია ერთი პლანეტისა და ერთი მიზნისთვის!

დღეისთვის გლობალურ აქციაში 157 ქვეყანა და 18 მლნ-მდე ადამიანი მონაწილეობს.



მართლმადიდებლობა ყოველდღიურ ღვთისმშობლის შობა

21 სექტემბერი ღვთისმშობალ მარიამის შობის დღეა!

შობამან შენმან, ღვთისმშობლო ქალწულო, სიხარულის აუწყა ყოველსა სოფელსა

ყოველდღიურად დედა ღვთისა იშვა უნაყოფო და მოხუცებული მშობლებისაგან - ქალაქ ნაზარეთში, რომელიც მთის ფერდობზე იყო შეფენილი და იერუსალიმს სამი დღის სავალი აშორებდა. „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რა სამე ყოფად?“ - ამბობდნენ ებრაელები, როდესაც შეიტყვეს, რომ დიდი წინასწარმეტყველი იესო აქედან გამოვიდა.

წინასწარმეტყველთა უწყების მიხედვით, ქვეყნიერების აღთქმული მხსნელი და ვითის სამეფო ტომიდან უნდა წარმოშობილიყო, მაგრამ ბაბილონის ტყვეობის შემდგომ დავით მეფის შთამომავლები ნელ-ნელა უფლებებს კარგავდნენ და როდესაც მკაპებლთა გვარი გაძლიერდა, სამეფო შტოს ყოველგვარი გამორჩეულობა გაქრა და ის სხვა ხალხს გაუთანაბრდა.

როდესაც წინასწარმეტყველთა მიერ მოსწავებული დრო დადგა და სკიპტრა უცხო-ტომელ პეროდეს გადაეცა, როცა რომაელთა ყოველსდამარტვეული ხელმწიფება დაიწყო, როცა ზნეობრიობა და რელიგია სრულიად დათრგუნული აღმოჩნდა - მაშინ იუდეველებმა გააცნობიერეს, რომ დანიელის მიერ დათქმული უამრავი იწურებოდა და მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი მესიას, რომელიც მათ უცხოტომელთა უღლისაგან იხსნიდა და სხვა ხალხებზე ბატონობას მიანიჭებდა.

ნაზარეთში ღვთისმოსავი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა - იოაკიმე და ანნა. იოაკიმე იუდას სამეფო ტომის შთამომავალი იყო, ხოლო ანნა აარონის ტომის ღვთისმსახურის მატთანის უმცროსი ასული. მატთანს სამი ქალიშვილი ჰყავდა: მარიამი, სოფი და ანნა; სოფიოს ასული ელისაბედი არის დედა იოანე წინასწარმეტყველისა. იოაკიმე და ანნა ღვთის წინაშე მართლები იყვნენ და მის მცნებებსაც სუფთა გულით იცავდნენ. ისინი იმდენად ჩამომავლობით კი არა, მორჩილებითა და გულმორწყალებით იყვნენ ცნობილი.

ამგვარად მიაღწიეს ღრმა სიბერემდე. მთელი მათი ცხოვრება ღვთის სიყვარულით და მოყვასისადმი თანაგრძობით იყო განმსჭვალული. საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავლის ორ მესამედს ყოველდღიურად გაცემდნენ, ერთ მესამედს ღვთის ტაძარს სწირავდნენ, მეორეს დატაკებსა და მოხუცებს უყოფდნენ; დანარჩენს პირადი საჭიროებისთვის იყენებდნენ. ბედნიერები იყვნენ, მაგრამ უნაყოფობა მათ გულს მწუხარებით ავსებდა: იმდროინდელი წარმოდგენით უშვილობა შეურაცხყოფელად და უდიდეს სასჯელად ითვლებოდა, მით უფრო სამწუხარო იყო, რომ ღვთის შთამომავლებს ჰქონდათ იმედი, რომ მათგან აღთქმული მესიის შობით - კაცობრიობის ხსნის იარაღად უნდა ქცეულიყვნენ.

მათი ცოლ-ქმრული ცხოვრებიდან 50 წელი გავიდა და ისინი უშვილობის გამო იყვედრებოდნენ. კანონის მიხედვით, რომელსაც ფარისეელები უტყუებდნენ მარს, იოაკიმეს შეეძლო, უნაყოფო ცოლთან გაეყრა მოუთხოვა, მაგრამ მართლად ადამიანს უყვარდა ანნა და პატივს სცემდა მას არანეველებრივი მოკრძალებულობისა და ღვთისმოსაობის გამო, ამიტომ მასთან განშორება არ სურდა. გულში ჩაკლული მწუხარებით, მაგრამ უდრტვინეულად ისინი ერთად ტვირთულდნენ განსაცდელის სიმძიმეს და მარხვით, ღოცებითა და ქველმოქმედებით აგრძელებდნენ ცხოვრებას, ერთმანეთს სიყვარულით განამტკიცებდნენ და არ კარგავდნენ იმედს, რომ უფალს ყოველთვის შეუძლია მინის შეწყობა.

დიდ დღესასწაულებზე მათ ჩვეულებად ჰქონდათ, რომ იერუსალიმში ასულიყვნენ. იოაკიმეც მივიდა ტაძრის განახლების დღესასწაულზე, რათა თანამემამულეებთან ერთად მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ მღვდელმთავარმა ისხახარმა იოაკიმეს ძღვენი არ მიიღო, მას უშვილობა აყვედრა და უთხრა: „უფალმა რაღაც საიდუმლო ცოდვის გამო მოგაკლო კურთხევა“. სხვა თანატოლებმაც, რომლებიც იქ ესწრებოდნენ, დაუბატეს: „შენ არ გაქვს ნება, მსხვერპლი ჩვენთან ერთად შესწირო, იმიტომ რომ ამ შეგიქმნია ისრაელის თესლი“. იოაკიმესთვის მეტად მძიმე იყო ამგვარი ყველგან ასე სახალხოდ მოთმენა და სახლში აღარ დაბრუნებულა, უდაბნოში წავიდა. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე მართალი მოხუცი ტიროდა, მარხულობდა და ღოცულობდა. მწუხარებას ცრემლით იქარებდა, შესთხოვდა ღმერთს, რომ სირცხვილი და ყვედრება აეცილებინა და სიბერეში მისთვის შეილი ებოძებინა.

ამავე დროს, როდესაც ქმრის შეურაცხყოფის ამბავი გაიგო, ანნა უნუგეშოდ ატირდა

და შინაურთაგან თავისი მწუხარება რომ დაეფარა, ბაღში გავიდა. დაფნის ხის ძირას მჯდარი ის არ წყვეტდა ტირილს და ღოცულობდა შეურყენელი რწმენით, რომ ღმერთი ძლიერია და კაცთაგან შეუძლებელს - შესაძლებელად აქცევს! ამ დროს ცისკენ აღაპერო თვალები და დაფნის ტოტებში დაინახა ბუდე, რომელშიც უსუსური ბარტყები იხსდნენ - ამის გამო კიდევ უფრო მეტად ავესო თვალები ცრემლით, კიდევ უფრო მეტი ვედრებით გადმოიღვრა ღოცვა მისი გულიდან: „უბედური მხოლოდ მე ვარ - მოთქვამდა იგი - ამ ქვეყნად ყველა შეიღებოთ ნუგეშობს. ცაში ჩიტებსა და მიწაზე მხეცებს ნაყოფიერება მიეცა, უფალო, მიწაც დროულად აღმოაცენებს თესლსა და ყველაფერი ეს შენი კურთხევით ხდება! მხოლოდ მე ვარ ველი უნაყოფო, უსიცოცხლო და აღმოუცენებელი, მომხვედ, უფალო და ისმინე ჩემი ღოცვა!“

უცებ მის წინაშე ღვთის ანგელოსი წარსდგა და უთხრა: „ანნა, უფალმა ისმინა შენი ღოცვები, შენ გეყოლება შვილი და შენი თესლისაგან იკურთხება ყოველი ტომი დედამიწაზე, შენი ასულის სახელი იქნება მარიამი და კაცობრიობა ხსნას მის მიერ მიიღებს“.

ანგელოსმა დააავალა ანნას, რომ წასულიყო იერუსალიმში და უწინასწარმეტყველა, რომ ქმარს ოქროს ჭიშკართან შეხედებოდა. ღვთისუფლიერი სიხარულით აღვილიმა ანნამ წამოიხაზა: „ცხოველ არს ღმერთი ჩემი, თუ შემეძინება ასული, მას ღმერთს შეეწირავ, დაეღვადამ მას ემსახუროს და მისი წმინდა სახელი განადგომს“. ამ აღთქმის შემდეგ მან იერუსალიმისაკენ ისწრაფა, რათა უფლისათვის დიდება და მადლობა შეეწირა.

ანგელოსი მართლდ იოაკიმესაც გამოეცხადა, რომელიც საღოცავად იდგა უდაბნოში და უთხრა: „უფალმა შეიწყნარა შენი ღოცვა, შენი ცოლი შობს ასულს, რომელიც ყველას სიხარულით მოუტანს, წადი იერუსალიმში და იქ ოქროს ჭიშკართან იპოვი ცოლს შენსას, რომელსაც მე ეს უკვე ვაცნობე“.

ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, ღვთის ტაძარს ერთად შესწირეს სამადლობელი მსხვერპლი და სახლშიც ერთად დაბრუნდნენ იმის დრმა რწმენით, რომ მიიღებდნენ ღვთისაგან აღთქმულს. მართლმადიდებელი ეკლესია უხსოვარი დროიდან დეკემბრის მეცხრე დღეს დღესასწაულობს მოხუცებულს, შეიღებულს მოკლებული მშობლებისაგან ღვთისმშობლის მუცლადღებას; რადგანაც ბავშვის დაბადება ღვთის განსაკუთრებულ წყალობად ითვლებოდა, რადგანაც საჭირო იყო, რომ სხვადასხვა სასწაულებს მოემზადებინა ყველაზე მთავარი სასწაული, უწყება იმის შესახებ, რომ ქალწული შობდა ქვეყნიერების მხსნელს, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, ყოველდღიურად ქალწული მარიამი, უფლის აღთქმის მიხედვით - ნისახა და დაიბადა ცოლ-ქმრისაგან, მხოლოდ უფალი იესო ქრისტე იშვა უბიწო მარიამისაგან უქორწინებლად - სულიწმიდის მიდგომით.

ყოველდღიურად ღვთისმშობელი მარიამი ნაკლებად ცნობილ ადგილას, ნაზარეთში დაიბადა, ის გამოვიდა ოდესღაც სახელგანთქმული დავითის ტომიდან, რომელიც იმუამად უკვე დამტკიცებული და ყოველგვარ ბრწყინვალეობას მოკლებული იყო, ამქვეყნიერი დიდება და პატივი არ შემორტყმია მის აკვანს. ყოველგვარი მიწიერი უპირატესობა გაფერმკრთალდა უხილავი დიდების შუქზე, რომელიც მრავალი საუკუნით ადრე ამზადებდა უფლის დიდებით შობას. სახარების მიხედვით მას კურთხეული და მიმადლებული ეწოდა იმ დღიდანვე, როდესაც მასში ქვეყნიერების მხსნელი ჩაისახა. ღვთიურმა სიბრძნემ დაფარა ეს საიდუმლო და ადამიანური გონებისათვის მისი რწმენითა და მადლით მიღება განსახდვრა.

იუდეველთა ჩვეულების მიხედვით, ახალშობილისათვის მეთხუთმეტე დღეს სახელი უნდა დაერქმიათ, ანგელოსის მითითებით, ყრმას მარიამი უწოდეს, რაც ებრაულად ქალბატონს ან იმედს ნიშნავს. მარიამი გახდა დედა ღვთისა და ამით ყოველივე შექმნილის ქალბატონად და იმედად იქცა.

ყოველდღიურად ღვთისმშობლის შობის ხსენება უძველესი დროიდან, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის დღესასწაული, ჯერ კიდევ IV საუკუნეში დადგინდა. მოციქულთაწარმომა ელენემ ღვთისმშობლის შობის სახელზე აღმართა ტაძარი; ეს დიდი, საყოველთაო, ათორმეტთაგანი დღესასწაული 8 სექტემბერს აღესრულება. ეს არის განუყოფელი სიხარულის დღესასწაული, რადგან ღვთისმშობლისაგან ადამიანთა მთელი მოდგმა განახლდა და პირველი დღის ევას მწუხარება სიხარულად გარდაიქცა.

შობამან შენმან, ღვთისმშობლო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვბრწყინდა მზე სიბრძნისა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყვეა და მოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო.

ჭადრაკი

გარეჯელთა „ოლიმპიური ჩემპიონი“ დაამარცხნა

სულ ორიოდე თვეა, რაც გარეჯელმა ჭადრაკის მოყვარულებმა, ნორჩმა მოჭადრაკეებმა თითქმის 30 წლის შემდეგ (1993 წელს ხანძარმა გაანადგურა საგარეჯოში არსებული კეთილმოწყობილი „ჭადრაკის სახლი“) განიცადეს სიხარული - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და საგარეჯოს ჭადრაკის ფედერაციის თავკაცის, ოსტატობის კანდიდატის ირაკლი ქვლივიძის ერთობლივი ძალისხმევით დაარსდა საჭადრაკო კლუბი „გარეჯი“. კლუბის დაფუძნებას დაემთხვა სასიამოვნო ფაქტი - საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თაოსნობით დაიწყო საქართველოს პირველი საკლუბო ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც დაყოფილია აღმოსავლეთის და დასავლეთის ზონებად. აღმოსავლეთის ზონაში გარდა საგარეჯოს „გარეჯისა“ მონაწილეობის კიდევ 9 საჭადრაკო კლუბი - თბილისის „ნტნ“, თბილისის „აზმაი“, თბილისის „ამომავალი ვარსკვლავი“, თბილისის „ოლიმპიური ჩემპიონი“, გორის „გორი“, რუსთავის „რუსთავი“, გურჯაანის „ნანა და ვია“, ახალციხის „ახალციხე“, მცხეთა-მთიანეთის „მცხეთა“.

იმის საჩვენებლად, თუ რა დონის გუნდებთან უწყეს პაექრობა საჭადრაკო კლუბ „გარეჯს“, საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში თუ ვინმეა მსოფლიო მასშტაბის დიდოსტატი, კაცი თუ ქალი - ყველა თავმოყრილია თბილისის გუნდებში - „ნტნ“-ში, „აზმაი“-ში, „ამომავალი ვარსკვლავი“-ში, „ოლიმპიური ჩემპიონი“-ში. საკმარისია დავასახელოთ მათი გვარები და ყველაფერი ნათელი იქნება - ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკე ქალები, მრავალჯერ ოლიმპიური ჩემპიონები ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, მაია ლომინიშვილი, სოფიკო ხუბაშვილი, ნინო ხომერიკი, გიორგი ბადათურიანი, მსოფლიოს ორჯერო ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში დავით გურგენიძე, გია მაჭარაშვილი, გიორგი გოგინიაშვილი, ნიკოლოზ ვოლკოვი და სხვები, აღარაფერს ვამბობ იმ უმძლავრეს თანამედროვე დონეზე მოწყობილ საჭადრაკო ინფრასტრუქტურაზე, აღჭურვილს კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით, აგრეთვე მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე, თანაც თითქმის 2 მილიონიან თბილისში საკმაოდ ფართო არენაა ნორჩი მოჭადრაკეების ასარჩევად, საჭადრაკო წრეებში ჩასასმელად. რაც შეეხება დანარჩენ მონაწილე საჭადრაკო კლუბებს - გორის „გორი“ წარმოდგენილია გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის მოთამაშეებით, რუსთავი - რუსთავის, მარნეულის, წალკის, გარდაბნის, ბოლნისის მოთამაშეებით და ასე შემდეგ. რაც შეეხება ჩვენს კლუბს, იგი მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოჭადრაკეებითა და რაკომპლექტებული. მიუხედავად ამისა საგარეჯოს „გარეჯმა“ დაამარცხა გორის „გორი“ ანგარიშით 9:7-ზე, ახალციხის „ახალციხე“, - ანგარიშით - 10:6-ზე, ხოლო ამ დღებში 10:6-ზე დაამარცხა თვით თბილისის „ოლიმპიური ჩემპიონი“. დღევანდელი მდგომარეობით საგარეჯოს „გარეჯი“



აღმოსავლეთის ზონის 10 კლუბებს შორის მესამე ადგილზეა. ამ წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს: ნიკა კველიშვილი (5.5 ქულა), ფართლი საბრიმ (6 ქულა), თამაზ თუშიშვილი (6 ქულა), ნინო ესაიაშვილი (3.5 ქულა), ზუკა გამრეკელაშვილი (3.5 ქულა).

შეაძტვასაშვილი, - კახეთის რეგიონის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: - ის ფაქტი, რომ ახლად დაარსებულ საჭადრაკო კლუბი „გარეჯი“ წარმატებით ასპარეზობს საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში, ამასთან ამარცხებს საქართველოში ერთ-ერთ უძლიერეს საჭადრაკო კლუბს „ოლიმპიური ჩემპიონს“ და ამავე დროს გარეჯელი ნორჩი მოჭადრაკეები საკმაო წარმატებით გამოდიან როგორც საერთაშორისო, ისე რესპუბლიკურ თუ რეგიონულ საჭადრაკო ბატალიებში, მიუთითებს იმაზე, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ჭადრაკი აღმავლობის გზაზეა, რაც პირველ რიგში გარეჯელი ნორჩი მოჭადრაკეების ნიჭიერებაზე და შრომისმყვედრობაზე მეტყველებს, ამავე დროს საგარეჯოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე თავმჯდომარის ირაკლი ქვლივიძის და მის გარეშე მოყოლ წარმატებული მწვრთნელების ნაყოფიერ მუშაობაზე მიუთითებს.

დარწმუნებული ვარ, საგარეჯოელებს რომ ჰქონდეთ ისეთი მძლავრი საჭადრაკო ინფრასტრუქტურა და სამუშაო პირობები და შრომის ანაზღაურება, რომელიც იმ კლუბებს გააჩნიათ, რომლებსაც გარეჯელები ამარცხებენ - გარეჯელ მოჭადრაკეთა წარმატებები უფრო თვალსაჩინო იქნება. გვეჯერა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თავაკცები, სპორტის მესვეურები ყველაფერს გააკეთებენ შესაძლებლობების ფარგლებში მუნიციპალიტეტში ჭადრაკის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისათვის.

თამაზ კობიაშვილი

სპორტი

უხეხურთი

„გარეჯი-1960“
ნახევარფინალშია



25 სექტემბერს საგარეჯოს ცენტრალურმა სტადიონმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან სპორტულ ასპარეზობას უმასპინძლა. დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასზე „გარეჯი-1960“-ის ფეხბურთელებმა მეოთხედფინალური შეხვედრა გამართეს საფეხბურთო კლუბ „თბილისი სიტის“ წინააღმდეგ. აქვე, სათქმელი რომ არ გაგვეტყვეს, უნდა ვთქვათ, რომ ევროპული ფეხბურთის ისტორიაში ეს იყო პირველი პრეცედენტი, როცა IV ლიგის გუნდი მონაწილეობს ქვეყნის თასის გათამაშებაში. რაც შეეხება გარეჯელთა მეტოქეს – „თბილისი სიტის“, იგი კარგად ნაცნობი გუნდია გარეჯელებისათვის. იგი ეროვნული ჩემპიონატის IV ლიგის გათამაშებაზე ამ სეზონზე დამარცხებული ჰყავდათ ანგარიშით 3:0, ხოლო თბილისში გასვლით შეხვედრაზე ფრე დაფიქსირდა. აქედან გამომდინარე, გარეჯელებს არ გასჭირვებიათ ნაცნობ მეტოქესთან თამაშის ტაქტიკის შემუშავება და პირველი ტაიმის პირველსავე წუთზე შექმნეს საგოლე მომენტი მეტოქის კართან, თუმცა მულქაძემ ვერ მოახერხა ამ კარგი შესაძლებლობის გამოყენება. ამის შემდეგაც მთელი მატჩის განმავლობაში თამაში გარეჯელთა „კარნახით“ მიმდინარეობდა, თუმცა არც მათ მეტოქეებს უნდა დაუკარგოთ მონდომება, როცა გარეჯელთა კართან შეძლეს რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა.

გარეჯელთა განუწყვეტელ იერიშებს მეტოქის კართან მე-15 წუთზე პირველი გოლი მოჰყვა, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა I ტაიმში.

ბევრი საგოლე მომენტი შეიქმნა „სიტის“ კართან მეორე ტაიმშიც, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთის რეალიზება მოახერხეს გარეჯელებმა – 64-ე წუთზე. ამის შემდეგაც განუწყვეტლივ უტევენდნენ მოწინააღმდეგეს, თუმცა თამაშის ბოლოს ოდნავ მოადუნეს ყურადღება, რაც ერთ გაშვებულ გოლად დაუჯდათ – 88-ე წუთზე მათ კარში გოლი გარეჯის ყოფილმა მთამაშემ ქალდანმა გაიტანა. 2:1 – ასეთი ანგარიშით დასრულდა გარეჯელთა ეს გადამწყვეტი შეხვედრა, რითაც ისინი საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ. გამარჯვების მომტანი გოლების ავტორები არიან ვახტანგ კაპანაძე და ბესო ჩიმაკაძე.

სიმბოლურია თამაშის შემდეგ „გარეჯი-1960“ ფეხბურთელებისადმი გუნდის კაპიტნის მიმართვა – ეს თამაში დამთავრდა, მაგრამ ჩვენი თავგადასავალი ამის შემდეგ იწყებაო.

თამაშის დამთავრების შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართეთ „გარეჯი-1960“-ს საგარეჯოელ მწვრთნელს დავით მაისურაძეს, რომელიც უსათუოდ დააინტერესებს გარეჯელი ფეხბურთის მოყვარულებს.

- დათო, თუ არის ცნობილი, ვინ იქნება ნახევარფინალში „გარეჯი-1960“-ის მეტოქე?
- საგარეჯოში გამარჯვებით ჩვენ გავედით საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალში. ჩვენს გარდა ნახევარფინალში არიან საქართველოს მოქმედი ჩემპიონი თბილისის „საბურთალო“, საქართველოს თასის მფლობელი ქუთაისის „ტორპედო“, და საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეხუთეადგილოსანი თბილისის „ლოკომოტივი“. თუ ვინ იქნება ჩვენი მეტოქე, ამას წილისყრა გადაწყვეტს, თუმცა ვიცით, რომ ეს შეხვედრა ჩვენს სტადიონზე გაიმართება.
- როდის უნდა ჩატარდეს წილისყრა?
- გუნდების წილისყრა ოქტომბერში ჩატარდება და ყველაფერი იქ გაირკვევა. აქვე ვიტყვი, რომ ეს ბოლო ათი წელია საგარეჯოში მსგავსი დონის საფეხბურთო შეხვედრა არ ჩატარებულა და არც ამდენი მაყურებელი ჰყოლიათ გარეჯელ ფეხბურთელებს. ამ თამაშზე 400-ზე მეტი მაყურებელი იჯდა და გვიწვედა გულშემატკივრობას, რაც დამეთანხმებით, დიდი სტიმულია მოედანზე გასვლით მთამაშეებისათვის.
- თქვენ მუდამ ასეთი თამაშები აჩვენებთ და მაყურებელი და გულშემატკივარი მერე ნახვით ნახევარფინალში და ეროვნული ჩემპიონატის ტურებზეც.

მოყვარულთა თასის გათამაშებაზე
„სამი ფარის კომპანია“ კვლავ
ლიდერობს და ეს პოზიციას ალარ
უიძვლება

ბრძოლა საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ლიგის რეგიონული ეტაპის ტურები, რომელშიც, როგორც ცნობილია, მონაწილეობს საგარეჯოს „სამი ფარის კომპანია“ გუნდი. ჩატარებული 12 მატჩიდან დაგროვილი 31 ქულით იგი კახეთის რეგიონული გათამაშების სათავეშია და რვა ქულით უსწრებს მომდევნო ადგილზე მყოფ ლაგოდეხის „იმედს“, თელავის „კურდღელაურის“ გუნდს – 9 და გურჯაანის „ველისციხეს“ კი 11 ქულით. სულ რეგიონული ტურების დამთავრებამდე „სფკ“-ს კიდევ დარჩენილი აქვს 6, მათ შორის სამი გასვლითი თამაში და როგორც ჩვენთან საუბარში მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კახა ღვთისაგრიშვილმა გვითხრა – სამი წაგების შემთხვევაშიც კი (რაც მისი თამაშიდან გამომდინარე, ყოველად წარმოუდგენელია) მიუწვდომელი დარჩება სხვა გუნდებისათვის.

ამის შემდეგ „სამი ფარის კომპანია“ კიდევ მოასწროს ახმეტის „თუშეთის“ 2:0 დამარცხება, სიღნაღის „ჯუგანი“ კი შეხვედრაზე არ გამოცხადდა.

27 ოქტომბერს დასრულდება რეგიონული თამაშები, რასაც აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში გამარჯვებული გუნდებს შორის პლეი-ოფები მოჰყვება. შარშან ამ გათამაშებაში მათ მერვედფინალამდე მიადწიეს, წელს კი თასის მოგება აქვთ მიზნად დასახული.

წარმატებები ვუსურვოთ მათ ამ ჩანაფიქრის აღსრულებაში.

„ევროპის სპორტის
კვირული“ საბარეჯოში

23-30 სექტემბერს საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში ტარდება ევროპის სპორტის კვირული. ევროპის სპორტის კვირული არის სპორტული სახის ღონისძიება და ითვალისწინებს ქვეყანაში მასობრივი სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ჩატარებას ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობებში მათში ჩართვა და მონაწილეობა შესაძლებელია ნებისმიერი მსურველისათვის. საქართველოში ამ ღონისძიების ოფიციალური კოორდინატორია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად.



ევროპის სპორტის კვირული წელს უკვე მეორედ იმართება საქართველოსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. საგარეჯოში ამ ღონისძიების კოორდინატორია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბაძარი. წინასწარ შედგენილი კალენდრის მიხედვით კვირულის ფარგლებში საგარეჯოსა და სოფელ ლამბალოში ჩატარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები: ქუჩის კალათბურთში, მკლავჭიდში, სირბილში მოკლე დისტანციაზე, ჭადრაკში, მინი ფეხბურთში, მოძრაე თამაშობებში, მხიარულ სტარტებში.

მიუწეობა ევროპის სპორტის კვირულის სახეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალები, რაც გაშუქებული იქნება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფედერაციის „სპორტი ყველასათვის“ ორგანიზებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით საგარეჯოში ევროპის სპორტის კვირული გაიხსნა.

ევროპის სპორტის კვირული 2019-ის ფარგლებში გაიმართა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში, სადაც მონაწილეობა 40-მდე მოსწავლემ მიიღო. მონაწილეებს სიგელები გადაეცათ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის
IV ლიგაში
სონის უემლეზ სენაკი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის IV ლიგაში საგარეჯოს „გარეჯი-1960“ ფეხბურთელები, როგორც საკუთარ მოედანზე, ისე გასვლით თამაშებში დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ შეთხვევით არ არიან ამ გათამაშების ცხრილის სათავეში, თითქმის ყველა თამაში მათი გამარჯვებით – დიდი ანგარიშით მთავრდება. ასე იყო გასვლით თამაშში ხონის მუნიციპალიტეტში, სადაც ადგილობრივი გუნდი 3:0 დაამარცხეს. მომდევნო გასვლითი მატჩი მათ სენაკში ჰქონდათ, სადაც ადგილობრივი „სენაკს“ ასევე დიდი ანგარიშით 4:1 სძლიეს.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
საშურის რუსუბლიკურ ტურნირზე



ამ დღეებში საშურში ჩატარდა იტალიური ფალავნოს კოლია ხედედიისა და ვასილ ჩონიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში, 2006-2007 და 2008-2009 წლებში დაბადებულ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფალავნებს შორის. ამრიგით მეცხრე ტრადიციულ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტკლუბის“ საგარეჯოსა და მანავის (მწვრთნელე

ბი თამაზ ყიფიანი, ვასილ მარტიაშვილი) შესაბამისი წრეების 20 აღსაზრდელი. ორი პირველი და 8 – მესამე საპრიზო ადგილი, ასეთი შედეგებით დატოვეს საშურის საჭიდაო არენა პატარა გარეჯელმა „კლასიკოსებმა“.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: მანაველი ლუკა მახარობლიშვილი (26კგ) და საგარეჯოელი ლუკა მარტიაშვილი (55კგ), მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ: ალექსანდრე ბეკაური (20კგ), დათო გორგიაშვილი (35კგ, ორივე თოხლიაურიდან), ლუკა თელავის (საგარეჯო, 29 კგ), გუგა მუნჯიშვილი (23კგ), რომიკო ოხგელდაშვილი (32კგ), გელა წიკლაური (55კგ), ვალერი აფციაური (42კგ) და ოთარ ვაჭრიშვილი (46კგ, ყველა მანავიდან). ჩვენი მოჭიდავეები აღნიშნულ ტურნირზე საკუთარი ხარჯებით გაემგზავრნენ.

თამაზ ყიფიანის განცხადებით, 20 ოქტომბერს საგარეჯოში ჩატარდება სპორტის ოსტატ ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნული სტილის მოჭიდავეები საქართველოსა და მეზობელი ქვეყნებიდან.

გვერდი მოამზადა გივი ღაბასიშვილმა

ჩვენი გარეჯული ტოპონიმები

თვალთხევი

„ვაკე ტყე“

საგარეჯოს ძველად “თვალი” ერქვა. დღეს საგარეჯოს ძველ სახელს იმ დიდი ხეობის სახელი გვახსენებს, რომელიც საგარეჯოს ორ ნაწილად ჰყოფს თვალთხევი. მის კალაპოტში მომდინარე იმავე სახელწოდების მდინარე იმდენად წყალუხვი ყოფილა, რომ ათეულობით წისქვილს ამუშავებდა მისი წყალი თევზითაც უხვად ამარაგებდა საგარეჯოს მოსახლეობას, ზაფხულში სამჯერადად რწყავდა ბაღნა-ვენახებს, ხეხილის ბაღებს.

მდინარე თვალთხევიდან გამომდინარე ნაკადულები უღამაზეს და ეგზოტიკურ გარემოს უქმნიდა ბაღ-ვენახებში ჩაფლულ, წითელი კრამითით გადახურულ ოღა-სახლებს, ერთიან ბაღნარად ქცეულ მიწიერ ედემად აქცევდა დაბა-სოფელს.

ისტორიული წყაროები მე-18 საუკუნემდე სოფელს თვალს უწოდებდნენ, რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით წყლის სათავეს და სილამაზის სინონიმსაც ნიშნავდა, ხოლო შემდეგ სოფელს სახელი შეეცვალა და საგარეჯო ეწოდა, ნიშნად დავით გარეჯის უდიდესი კომპლექსის საკუთრებისა და “თვალ” თანდათან დავიწყების ბურუსში ჩაიძირა, მხოლოდ მდინარის ხეობას და ერთ სამლოცველოს “თვალწმიდა გიორგისა” შერჩა ეს სახელი.

მდინარე “თვალთხევი” შუაზე ჰყოფს საგარეჯოს, ამიტომ “თვალთხევის” მარჯვენა სანაპირო გაღმავლებად იწოდება, ხოლო მარცხენა-გამოღმა სანაპირო-საგარეჯოდ. მდინარე “თვალთხევი” თავისი აუხით ერთ-ერთი დიდი და გრძელი მდინარეა მთელ გარე კახეთში, რომელიც სათავეს იღებს ცივ-გომბორის მთებში და უერთდება გარე-კახეთის დედა მდინარეს-იორს. თვალთხევის ორი სათავე აქვს. ერთი შტო სათავეს იღებს ასევე ცივ-გომბორის მთებში, ე. წ. “დათვის საცხერეში”, მეორე შტო კი “ლაქინში”-ქურდოვანიძეების მისი ძირში.

ამ ორ შტოს შუა დევს “რაზიას” მთა, ამ მთების ჩრდილო მხრიდან “კისისხევის” სათავე იწყება, რომელიც მდინარე ალაზანის შენაკადია.

თვალთხევის შენაკადებია: ქობთხევი, რომელიც ფშავლის ნადგომრებიდან გამოდის. ქობთხევის მეორე პატარა ხევიც ერთვის და ორივე ეს ხევი თვალთხევის ერთვის მარჯვენა მხრიდან.

ბებერი კლდის მხრიდან გამოდის და მახასთან ერთვის თვალთხევის ერთი პატარა ხევიც მარცხენა მხრიდან.

თვალთხევი ძველთაგანვე წყალუხვი მდინარე იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც საგარეჯოს მოსახლეობა გაიზარდა და კომუნალური მეურნეობაც ქალაქის ტიპის მეურნეობად გადაიქცა, თვალთხევის შემდინარე წყაროები კომუნალური მეურნეობის საკუთრებად, თვალთხევი კი მშრად ხევად იქცა. მასში წყალი მხოლოდ ზამთარსა და გაზაფხულის უხვნალექიან პერიოდში თუ მოედინება.

თვალთხევის ძველთაგანვე კვებავდა მთის პატარ-პატარა წყაროები, მაგრამ მისი მთავარი მკვებავი არის ტყე-პარკ “სათავიდან” და გაზაფხულობით მახიაზე გამომდინარე წყალუხვი, დიდი დებეტის მქონე წყაროები.

რაც შეეხება გაზაფხულსა და ზაფხულის პირველ ნახევარში მოსულ დიდ წვიმებს, ისინი ისე “განრისხდებოდნენ” ხოლმე, რომ მისი სანაპიროები ვეღარ იტევდა მთებიდან გამომდინარე ღვარცოფიან

თქვს, რომ აქ მცხოვრებ მოსახლეობას დიდ სტიქიურ უბედურებად ატყვევებდა თავზე. ხალხის ხსოვნამ და ისტორიულმა წყაროებმა შემოინახა გარეჯული ქრონიკები, როცა განრისხებულმა თვალთხევმა დიდი უბედურება დაატეხა მის ორივე სანაპიროზე მცხოვრებ მოსახლეობას. ეს თარიღები 1883 და 1895 წლებში ფართოდ ასახა მეცხრამეტე საუკუნის ისეთმა გაზეთებმა, როგორც იყო დიდი ილიას “ივერია” და საქვეყნოდ ცნობილი “დროება”. აქ მცხოვრებნი ასეულობით კომლი გლეხობა აიყარა და უფრო უსაფრთხო ადგილებზე დაიდო ბინა.

მდინარე თვალთხევის გაღმავლებში მარჯვენა მხრიდან ერთვის საკმაოდ აბეზარი შენაკადი-“ტოპეშაურასხევი”, რომელიც სათავეს იღებს წმიდა შიოს და წმიდა ილია წინასწარმეტყველის მთიდან. თვით “ტოპეშაურასხევის” ერთვის გაღმავლებში საღორისი ანუ კოტომიანი ხევი, რომელიც სათავეს იღებს ტოპონიმ “კონცაძეულის” მიდამოებში. ამ შენაკადებს გარდა, თვალთხევის კვებავს “ტიკიაურა”, რომელიც თვალთხევის ერთვის მინდორ “კოსტაფის” მიდამოებში, თვალთხევის “თანამგზავრი” დედეები იყო “დიდოს ჭაღა”, “ლეკიაურა” და სხვა დედეები, რომლებიც ქალაქის მოსახლეობამ დაჯაბნა და თავის საკარმი-დამოებად გადააქცია. ისე კი, როცა ბუნება “განრისხდება” ხოლმე და გადაუღებელი წვიმები თავს აიწყვეტავს, ქალაქის ბუნებრივი კონფიგურაცია ერთიან ხეობად გადაიქცევა ხოლმე.

როცა სტიქია აბობოქრდება, თვალთხევის “მხარს აუბავს” ხოლმე მისი აბეზარი მეტოქე “წიფლის ხევი”, რომელიც სათავეს იღებს ასევე ცივ-გომბორის მთებში, ცივ-კოდის მიდამოებში. თურმე, ყოფილა შემთხვევა, როცა სტიქიის გამო ისე მომხდარა, რომ ეს ორი ხეობა გაერთიანებულა და საკმაოდ დიდი ზარალიც მიუყენებია საგარეჯოსათვის.

საგარეჯოდან მიმავალი, გასცდები თუ არა “მთავარ მოწამეს”, ხელმარჯვნივ მიმავალ ტყის გზას, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის გაფლის შემდეგ ნახავთ ძველისძველი ეკლესიის ნაშთს, რომელსაც საგარეჯოელები “წმიდა გრიგოლის” ნაეკლესიარს უწოდებენ. ტყის სიღრმეში შესული ადამიანის თვალი უამრავ ნამოსახლარს შენიშნავს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ტყეს დაუფარავს. ტყის რელიეფიც ისეა მოსწორებული, რომ ყველა



მიხედვება-აქ ოდესღაც მოზრდილი სოფელი ყოფილა. ეს მიდამო საგარეჯოს მინდვრებიდანაც კარგად მოჩანს, ხალხი ამ ტყეს “ვაკე ტყეს” უწოდებს.

არავინ იცის, აქ არსებულ სოფელს რა ერქვა, ან როდის მოიხსო იგი და ადამიანთა მეხსიერებიდან როდის ამოიშალა, რა მატერიალური საშუალებებით სულდგმულობდა ეს სოფელი, უბრალო თვალთხევი მიხედვება გათვითცნობიერებული ადამიანი, რომელიც იქვე, მახლობლად, ტყის ხეთა ფოთლების ჩრდილსა და ბუნქნარში შემალული წყლის ნაჟური ამ სოფლის მახაზრდოებელი წყაროს კოდი იყო. როდის მოიხსო, ან რამ მოსპო ოდესღაც აღორძინებული სოფელი, როდის დაისადგურა აქ ტყის მღუმარებამ, არავინ უწყის...

1399 წელს საქართველოს მეხუთედ შემოსემა ქართველთა მოძულე თემურ ლენგი. ზამთარი იყო და ხალხი არ მოელოდა თურმე მტრის შემოსევას. თემურ ლენგმა შეარჩია ჯანმრთელი, 20-25 წლის უზბეკი მეომრები და პირდაპირ წამოვიდა საქართველოს გასანადგურებლად ზამთრის მყუდროებაში-35 ათასიანი ლაშქრით. მოადგა გარე კახეთს. გადაუღებლად თოვლა 20 დღის განმავლობაში და თოვლის საფარმა ნახევარ მეტრს გადააჭარბა, მტრის შემოტევის მარშრუტი ყარაბაღზე გადაიოდა და გარეჯის ხრიოკი მიდამოებით პირდაპირ გარე კახეთისკენ იყო მიმართული. ჩვენ პირდაპირი საარქივო მასალები არ მოგვეპოვება ქართულ ენაზე და ვერდნობით თემურ ლენგის ისტორიკოსის ცნობებს. მტერმა თავის გამანადგურებელი მეხუთე შემოსევის მარშრუტი იმიტომ შეარჩია უშუალოდ თბილისის აღმოსავლეთით, რათა თბილისისათვის მოესპოთ მოსახლეობის დამცავი და მკვებავი რეგიონი და იგი უდაბნოდ ქცეოდა. თემურ ლენგის ისტორიკოსის დღიურებში ვკითხულობთ, რომ მტრის მიზანი იყო მჭიდროდ დასახლებული დაბა-სოფლები მთლიანად დაეგრიდა, გადაეწვა, ხოლო ბაღ-ვენახები- ამოებირკვა. მტერმა კარგად იცოდა, რომ ქართველები ღხინშიც და ჭირშიც უდაბნოდ და უხილვად პურს არ ჭამდნენ. ამიტომაც უნდოდა აყვავებული გარე კახეთის უდაბნოდ ქცევა. გარდა ამისა, თემურ ლენგის დახვეწვამ კარგად იცოდა, რომ საქართველოს მეფეს აქ ეყენა თავისი საუკეთესო ჯარი მთავარსარდალ ვინმე ხიმშიას სარდლობით და ეს ჯარი უნდა მოესპო პირველ რიგში- მოულოდნელი დარტყმით. თემურ ლენგმა თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა და თავისი სისასტიკით იავარქმინილი მხარე დატოვა გაძარცვული, გაპარტახებული და ქართული არქივებიც ისე მოსპო, რომ არავის სცოდნოდა აქ არსებული დაბა-სოფლების სახელებიც კი.

თუ რა ერქვა “ვაკე ტყეზე” გაშენებულ სოფელს, არავინ იცის, მხოლოდ დანგრეულ ნაეკლესიარს შემორჩა ამ წმინდა ადგილის სახელი “წმიდა გრიგოლი”, დანარჩენი კი დავიწყების უღმობელმა ბურუსმა შთანთქა...



წმინდა გრიგოლის სახელობის ეკლესია

ბამოხმაურება წიბნზე

ახლახანს გამოვიდა მევენახისა და გამომგონებლის, საზოგადო მოღვაწისა და პოეტის თამაზ ქვლივიძის მორიგი წიგნი - „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი“. რომელიც ძნელია აუღელვებლად წაიკითხოთ. ავტორმა დიდი შრომა გასწავია და თავისი პოეტური ნიჭი და მამულიშვილობა შესანიშნავად წარმოადგინა ქართველი საამაყო შვილის რუსთაველის საიუბილეოდ.

ძალიან სამწუხაროა, რომ ქართული ოფიციალური წრეების მიერ უყურადღებოდ დარჩა მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნისა და პოეტის იუბილე. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბ-ნი ქვლივიძის პოეტური ნაშრომი და მამულიშვილობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ როგორც ყოველთვის თ. ქვლივიძის ნაშრომი შესანიშნავ პოლიტიკურაფიულ დონეზეა გამოცემული.

კონსტანტინე მჭედლიშვილი, თსუ-ს პროფესორი

მელიქაური

წყალუხვი მდინარე თვალთხევის აუზის ნასოფლარია მელიქაური. იქ, სადაც თვალთხევის აუზის ორი შენაერთი შტო ერთმანეთს ერთვის, ამ ხერთვისს საკმაოდ მოზრდილი ტაფობი ყოფს შუაზე დაუკვირვებელი თვალი აქ მხოლოდ ტყე-ბუნქნარს შენიშნავს, მაგრამ ეს პატარა მიწის ნაკერი, რომელსაც უფროსი თაობის ხალხი მელიქაურს უწოდებს, სულაც არ

არის უბრალო ტყიანი ტაფობი-აქ ოდესღაც ხალხი ცხოვრობდა და სიცოცხლე ჩქეფდა. აქ არქეოლოგიური გათხრები არასოდეს არავის არ უწარმოებია, მაგრამ, დაკვირვებული თვალიც კი შეამჩნევს ნამოსახლარებს, ქვითკირის ნაშთებს. აქ ხანდახან წყალდიდობის დროს ღვარცოფი ადამიანის ნახმარ საყოფაცხოვრებო, კერამიკის ნივთებსაც კი გამოაჩენს ხოლმე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ ოდესღაც უცხოვრიათ ჩვენს წინაპრებს, მერე კი ბედუკულმართი ცხოვრების გამო მიუტოვებიათ მამა-პაპეული საცხოვრისი და უკეთეს ადგილას გადასახლებულან, ანდა სულაც ბედის უკუღმა ბრიალს მოუსპია მათთვის სასიცოცხლო პირობები. საკვირველი და საცნაური ისაა, როგორ მოაღწია ჩვენამდე ამ ტოპონიმმა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძნობას უცხადებს ამავე მერიის აღმინისტრაციისა და სესყიდვების სამსახურის უფროსს ანუკი ნარიშანიშვილს დედის

ნელი ღოღელიანის გარდაცვალების გამო.

რედაქტორი: თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი - 300 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143 ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com